დანართი 1

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის --- თებერვლის
N---------- ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტე-ბისათვის“, ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ (შემდგომში - ღონისძიება) ფარგლებში კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს და მხარეთა ვალდებულებებს.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საზღვარგარეთ - ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეს (შემდგომში - კონკურსანტი), რომელიც საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის (შემდგომში - მიმღები სასწავლებელი), ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, საკონკურსო სემესტრის (საშემოდგომო ან საგაზაფხულო) მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება: **GPA** - კარგი/მაღალი/ფრიადი/უმაღლესი (მუხლი 2. პუნქტი 5.)

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის - GPA (ქულის) პროცენტული წილი შეადგენდეს მიმღები სასწავლებლის მიერ დაწესებული შეფასების სკალის უმაღლესი ქულის, არანაკლებ 71%-ს ან მეტს (მაგალითად: 1 ქულიანი შეფასების სკალის მიხედვით: GPA უნდა იყოს - 0.71 ქულა ან მეტი; 4 ქულიანი შეფასების სკალის მიხედვით: GPA უნდა იყოს - 2.84 ქულა ან მეტი; 30 ქულიანი შეფასების სკალის მიხედვით: GPA უნდა იყოს - 21.3 ქულა ან მეტი და ა.შ.).

4. ვინაიდან, თითოეულ მიმღებ სასწავლებელს განსაზღვრული აქვს საკუთარი შეფასების სკალა (1 ქულიანი; 4 ქულიანი; 30 ქულიანი ან სხვა), შესაბამისად, კონკურსანტების მიერ მიღებული აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებიც - **GPA** (ქულა) იქნება, რიცხობრივად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული. ამდენად, კონკურსანტებისათვის თანაბარი პირობების დაწესების მიზნით, აუცილებელია, კონკურსანტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების გამოთანაბრება ერთიან სტანდარტზე. გამომდინარე, პირველ რიგში, მოხდება მიღებული აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის – **GPA** (ქულის), პროცენტულ – შედეგობრივ მაჩვენებელში გადაყვანა

(დამრგვალების გარეშე), შემდეგნაირად: თითოეული კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი – **GPA** (ქულა), იყოფა მიმღები სასწავლებლის შეფასების სკალის უმაღლეს ქულაზე – **S (Score)** და მრავლდება 100-ზე. ფორმულის სახით: **PRI = (GPA : S) × 100** (იხ. მუხლი 8).

5. თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებელის მიერ გაცემული დოკუმენტი შეიცავს კონკურსანტის მხოლოდ, განვლილ საგნებში მიღებულ შეფასებებს (და არ შეიცავს საბოლოო სემესტრულ ქულას), ამ შემთხვევაში, აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ქულა გამოიყვანება შემდეგნაირად: თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტი მრავლდება ამ საგანში მიღებულ ქულაზე, მიღებული ქულები ჯამდება და იყოფა კონკურსანტის მიერ, საკონკურსო სემესტრში მიღებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე.

6. საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის მონაწილე (საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი), აღნიშნულ კონკურსში არ დაიშვება. ასევე, არ დაიშვება საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩარიცხულია საზღვარგარეთ უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლობს საქართველოში აკრედიტირებულ/ავტორიზებულ სასწავლებელში (ფილიალი ან სხვა).

7. კონკურსი არ ითვალისწინებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ბოლო კურსის დამამთავრებელი სემესტრის კონკურსანტთა მონაწილეობას.

8. საკონკურსო - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით 10 - 10 საუკეთესო შედეგის მქონე სტიპენდიანტის გამოვლენა ხდება კონკურსის წესით.

9. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში - სამსახური).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. **ტბელ აბუსერიძე (XIII ს.)** - მრავალმხრივ განვითარებული მეცნიერი და ასტრონომი (1233 წელს შეადგინა კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) ღვთისმეტყველი და ჰიმნოგრაფი პროზაიკოსი, ლიტერატორი და მუსიკათმცოდნე.

2. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** - ამ შემთხვევაში, ამ დებულების პირველი მუხლის მე - 2 პუნქტით განსაზღვრულ ქვეყნებში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. **აკადემიური მოსწრების დოკუმენტი** - ამ შემთხვევაში, მიმღები სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკურსანტის აკადემიური მოსწრების შესახებ, საკონკურსო სემესტრის მიხედვით განვლილ საგნებში მიღებული შეფასებების (ქულები/კრედიტები) და საბოლოო სემესტრული ქულის მითითებით.

4. **GPA (Grade Point Average)** - ამ შემთხვევაში, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები - განვლილ საგნებში მიღებული შეფასებებისა (ქულები/კრედიტები) და საბოლოო სემესტრული ქულის მითითებით.

5. **GPA** (კარგი/მაღალი/ფრიადი/უმაღლესი) - ამ შემთხვევაში, მიმღები სასწავლებლის მიერ განსაზღვრული შეფასების სკალის (1 ქულიანი; 4 ქულიანი; 30 ქულიანი ან სხვა) მიხედვით, კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ქულა პროცენტულ გამოსახულებაში:

ა) კარგი - 71% - 80% ფარგლებში;

ბ) მაღალი - 81% - 90% ფარგლებში;

გ) ფრიადი/უმაღლესი - 91%-100% ფარგლებში.

6. **შეფასების სკალა** – მიმღები სასწავლებლის მიერ განსაზღვრული აკადემიური მოსწრების შეფასების საზომი (ზედა და ქვედა ნიშნულებით/ქულებით).

7. **საკონკურსო ქულა** - ამ შემთხვევაში, დებულებით განსაზღვრული დაანგარიშების წესის მიხედვით (მუხლი 8.), კონკურსის მონაწილის საბოლოო საკონკურსო ქულა, რომლის მიხედვითაც გამოვლინდება გამარჯვებული.

მუხლი 3. კონკურსის მიზანი

1. ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება, წახალისება, სტიმულირება.

2. ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებზე, ხარისხიანი სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, აკადემიური და პროფესიული წინსვლა - განვითარების ხელშეწყობა/მხარდაჭერის თვალსაზრისით.

3. მიმდინარე სასწავლო წლის საკონკურსო - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით 10 - 10 ყველაზე წარმატებული სტიპენდიანტის გამოვლენა.

მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა

საკონკურსო - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით, აკადემიური მოსწრების საუკეთესო შედეგის მქონე 10 - 10 სტიპენდიანტი მიიღებს ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით):

ა) საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 500 ლარი;

ბ) საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 500 ლარი.

მუხლი 5. დოკუმენტაცია

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია), ყოველ საკონკურსო სემესტრთან (საშემოდგომო ან საგაზაფხულო) მიმართებაში, იწყებს განცხადებების მიღებას კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის.

2. კონკურსანტმა, მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს ან/და გადმოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: info@Batumi.ge შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **განცხადება** (ბრძანების დანართი 2) - შევსებული ქართულ ენაზე;

ბ) **პასპორტის და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;**

გ) **ფოტოსურათი** - 2 ცალი (ზომა - 3სმ. × 4სმ.);

დ) **ავტობიოგრაფია / CV** - ქართულ ენაზე (მ.შ. სამეცნიერო/კულტურულ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური და პროფესიული მიღწევები და სხვა მონაცემები);

ე) **დოკუმენტი** - საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ (საჯარო რეესტრიდან) ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, რეესტრის ვებ-გვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით;

ვ) **დოკუმენტი** - კონკურსანტის პირველი ან მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებასთან მიმართებაში (ბაკალავრი ან მაგისტრანტი);

ზ) **აკადემიური მოსწრების დოკუმენტი / GPA -** მიმღები სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ, საკონკურსო სემესტრის მიხედვით განვლილ საგნებში მიღებული შეფასებებისა და საბოლოო სემესტრული ქულის მითითებით ან/და სტუდენტის პირადი ბარათი, აკადემიური მოსწრების შესახებ, საკონკურსო სემესტრში მიღებული შეფასებების და საბოლოო სემესტრული ქულის მითითებით, დამოწმებული მიმღები სასწავლებელის მიერ - როგორც ორიგინალი (უცხო ენაზე), ასევე, ქართულ ენაზე (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);

თ) **დოკუმენტი -** მიმღები სასწავლებლის მიერ დადგენილი აკადემიური მოსწრების შეფასების სკალის უმაღლესი ქულის მითითებით;

ი) **საბანკო რეკვიზიტი.**

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტები: ვ); ზ) და თ) სასურველია იყოს წარმოდგენილი ერთი დოკუმენტის სახით (ძირითადი მონაცემებით). ამასთან, დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი - ორიგინალი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

4. მერია, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. განცხადების მიღებისა და განხილვის ვადები

განცხადებები კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, მიიღება მიმდინარე სასწავლო წლის:

ა) საშემოდგომო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - მარტის თვეში (პირველი სამუშაო დღიდან, ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით);

ბ) საგაზაფხულო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - ოქტომბრის თვეში (პირველი სამუშაო დღიდან, ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით);

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - განაცხადების/დოკუმენტაციის შესწავლა.
2. მეორე ეტაპი - შედეგების დადგენა.

3. კონკურსანტის მიერ წარდგენილი განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) ეგზავნება სამსახურს, რომელიც დოკუმენტაციას, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადააწერს შესაბამისი კომპეტენციის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;

ბ) არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ამზადებს წერილს ან/და განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით, კონკურსანტს აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 10 სამუშაო დღის ვადაში;

გ) განაცხადი, განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში - არ განიხილება;

დ) შემოსული განცხადებების შესწავლის პროცედურის გავლის შემდეგ, ახდენს საუკეთესო შედეგის მქონე სტიპენდიანტების გამოვლენას;

ე) ადგენს კონკურსის შედეგების თაობაზე აქტს;

ვ) ამზადებს მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების თაობაზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერზე (შემდგომში - მერი) წარსადგენად.

მუხლი 8. გამარჯვებულის გამოვლენა

1. კონკურსში გამარჯვებულად სახელდება 10 - 10 სტიპენდიანტი, საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი საკონკურსო ქულა **CS (Competitive Score).**

2. საკონკურსო ქულა **CS** განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) პირველ რიგში: მოხდება კონკურსანტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის - **GPA** (ქულის) გამოთანაბრება ერთიან სტანდარტზე. კერძოდ: თითოეული კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - **GPA** (ქულა) გადაიყვანება პროცენტულ-შედეგობრივ მაჩვენებელში - **PRI** (Percentage Resulting Indicator), შემდეგნაირად: თითოეული კონკურსანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - **GPA** (ქულა) იყოფა მიმღები სასწავლებლის შეფასების სკალის უმაღლეს ქულაზე – **S (Score)** და მრავლდება 100_ზე. ფორმულის სახით: **PRI = (GPA : S) × 100**;

ბ) მეორე რიგში: მიღებული რიცხვი **PRI** (დამრგვალების გარეშე) იყოფა მიმღები სასწავლებლის სარეიტინგო/რიგით ნომერზე - **R** (ესპანეთის ეროვნული სამეცნიერო საბჭოს კიბერმეტრიკსის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზის - მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგის მიხედვით: https://webometrics.info/en/world) და ემატება **PRI**. ფორმულის სახით: **CS = (PRI : R) + PRI;**

გ) თუ მიმღები უმაღლესი სასწავლებელი არ იძებნება ზემოაღნიშნულ სარეიტინგო ცხრილში (კიბერმეტრიკსის ლაბორატორიის მონაცემთა ბაზაში 12 000-მდე მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის) - განაცხადი არ განიხილება;

დ) თუ პირველი და მეორე საფეხურის კონკურსანტთა საკონკურსო ქულა (**CS**) კვლავ ერთნაირია, მაშინ სტიპენდია გაიცემა იმ კონკურსანტზე:

დ.ა) რომლის მიმღები სასწავლებლის სარეიტინგო/რიგითი ნომერი აღმატებულია;

დ.ბ) თუ საკონკურსო ქულა (**CS**) კვლავ ერთნაირია - რომელსაც გააჩნია მეტი წარმატებები (სამეცნიერო / კულტურულ / სპორტულ და ა.შ. ღონისძიებებსა თუ პროექტებში მონაწილეობის, აკადემიური, პროფესიული და სხვა მიღწევების მიხედვით). ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მერის მიერ, ბრძანებით.

მუხლი 9. შედეგების დამტკიცება

1. კონკურსის შედეგების თაობაზე, დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის შესაბამისი განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების სპეციალისტი.

2. სამსახურის უფროსი, მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე, აქტის მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, წარუდგენს მერს.

3. მერი, მოხსენებით ბარათის წარდგენიდან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

4. კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიატების სია, ქვეყნდება მერიის ან სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.batumi.ge.

მუხლი 10. სტიპენდიების გაცემის ვადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერის ბრძანების შესაბამისად და სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს სტიპენდიის გაცემას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით).

მუხლი 11. მონაცემთა ბაზა

კონკურსში გამარჯვებული ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიანტების, ასევე, კონკურსის მონაწილე აპლიკანტების მონაცემები, შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებული სტიპენდიანტების საერთო მონაცემთა ბაზაში (პერსონალური მონაცემების დაცვით) და ეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტუქტურულ ერთეულებს და დაქვემდებარებულ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. ასევე, დასაშვებია რეკომენდირება სახელმწიფო და კერძო სექტორის დაინტერესებული პირებისათვის (პერსონალური მონაცემების დაცვით), მათი შესაძლო დასაქმების თვალსაზრისით.